ეროვნული
ბიბლიოთეკა

Тбилисский филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. დეკემბრის 31 № 22 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

94. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსულ გამოცემათა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის მიწოდებისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სავალდებულო სასიგნალო ეგზემპლარების წარდგენის შესახებ.

95. რაიონებისა და ქალაქების ჯანმრთელობის განყოფილების გამგეების დანიშვნისა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისა და დათხოვნის წესის შესახებ.

96. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

94. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსულ გამოცემათა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის მიწოდებისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სავალდებულო სასიგნალო ეგზემპლარების წარდგენის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 10 ნოემბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ტერიტორიაზე გამოსულ გამოცემათა სსრ კავშირის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის მიწოდებისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სავალდებულო სასიგნალო ეგზემპლარების წარდგენის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 57, მუხ. 589) და იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გამოსული ბეჭდვითი სიტყვის ყველა ნაწარმოები სახელმწიფო და ბიბლიოგრაფიული რეგისტრაციითა და სტატისტიკური აღრიცხვით, აგრეთვე იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიბლიოთეკები დაკომპლექტებულ იქნან ბეჭდვითი-სიტყვის ნაწარმოებებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ პოლიგრაფიულ საწარმოებს ბეჭდვითი სიტყვის მათ მიერ დამზადებულ ნაწარმოებთა სავალდებულო ეგზემპლარები გაუგზავნონ სრულიად-საკავშირო წიგნის პალატას მოსკოვში და საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას თბილისში შემდეგი რაოდენობით:

ა) წიგნები, ჟურნალები, თვალსაჩინო სახელმძღვანელოები და რუკები, რესპუბლიკური და საოლქო გაზეთები, სამხედრო ოლქისა, რკინიგზებისა და სანაოსნო საზოგადოებათა პოლიტსამმართველოების გაზეთები, სახვითი გრაფიკის ნაწარმოებები და მუსიკალური ნოტები — სრულიად-საკავშირო წიგნის პალატას მოსკოვში 25 ცალი და საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას — 5 ცალი, რაც განაწილდება № 1 დანართის შესაბამისად;

ბ) რაიონული და ძირეული მრავალტირაჟიანი გაზეთები, წვრილად ნაბეჭდი გამოცემანი (აფიშები, ფურცლები და სხვ.) სრულიად-საკავშირო წიგნის პალატას — მის მიერ დაწესებული ნუსხის მიხედვით და საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას — 4 ცალი.

გ) მინოგრაფზე და სხვა გამამრავლებელ აპარატებზე დაბეჭდილი გამოცემანი, აგრეთვე „ა“ მუხლში ჩამოთვლილი გამოცემანი, თუ მათი ტირაჟი 300 ცალს არ აღემატება, სრულიად-საკავშირო წიგნის პალატას მოსკოვში 4 ცალი და საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას — 3 ცალი.

2. იმისათვის, რომ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების ცენტრებში არსებული მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფია და ბიბლიოთეკები უზრუნველყოფილ იქნან ავტონომიური ოლქისა და რაიონების ტერიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაზე გამოცემული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებებით, დაევალოს პოლიგრაფიულ საწარმოებს მათ მიერ გამოცემული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა თითო სავალდებულო ეგზემპლარი უშუალოდ გაუგზავნონ, პოლიგრაფსაწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით, სათანადო საოლქო და სარაიონო ბიბლიოთეკას იმ ოდენობის გარდა, რაც წიგნის პალატებს უნდა წარედგინოს.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება ქ. თბილისის, სოხუმისა და ბათუმის პოლიგრაფიულ საწარმოებზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა პოლიგრაფიულ საწარმოს გაუგზავნონ სასიგნალო ეგზემპლარები დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, თანახმად დანართისა № 2.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა გამომცემლობას დაჯავშნონ ბეჭდვითი სიტყვის მათ მიერ გამოშვებული ყველა ნაწარმოების სამ-სამი ცალი ერთი წლის განმავლობაში დღიდან მათი გამოსვლისა და უსასყიდლოდ გაუგზავნონ ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო ბიბლიოთეკას იმ მიზნით, რომ მოეწყოს სსრ კავშირის უმნიშვნელოვანესი ბიბლიოთეკების მომარაგება უცხოეთის ლიტერატურით საზღვარგარეთთან წიგნის გაცვლის გზით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა გამომცემლობას უსასყიდლოდ გაუგზავნონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წიგნის ექსპედიციას (მოსკოვი, სტოლეშნიკოვის შესახვევი № 5) ბეჭდვითი სიტყვის მათ მიერ გამოცემული ყველა ნაწარმოების 14 სავალდებულო საკონტროლო ეგზემპლარი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ აჭარის, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გამომცემლობებს უსასყიდლოდ მიაწოდონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიბლიოთეკას (თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა № 2) ბეჭდვითი სიტყვის მათ მიერ გამოშვებული ყველა ნაწარმოების 2 სავალდებულო საკონტროლო ეგზემპლარი.

7. მეთვალყურეობის გაწევა, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას თავის დროზე გაეგზავნოს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სავალდებულო ეგზემპლარები, აგრეთვე წიგნის პალატისათვის აუცილებელი საკონტროლო მასალები (გამოცემების სიები, ცნობები ტარიფების შესახებ და სხვ.) დაეკისროს საქართველოს სსრ მთავლიტის ორგანოებს.

8. ის პირნი, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას არ წარუდგენენ სავალდებულო ეგზემპლარებს, ანდა ამ ეგზემპლარებს წარუდგენენ არათავის დროზე (გამომცემლობისათვის ტირაჟის მიცემის შემდეგ) ან არასაკმაო რაოდენობით, მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116 და 205 მუხლების მიხედვით.

9. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ მთავლიტის უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარ-თა საბჭოს 1934 წ. 7 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის სპეციალურ კოლლექტორში წარსადგენი ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ცალების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 10, მუხ. 99).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. **ბაქრაძე**.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. **რუხაძე**.

1939 წ. დეკემბრის 4. № 2302.
თბილისი.

დანართი № 1.

ს ი ა

უდიდესი სახელმწიფო ბიბლიოთეკებისა.

1. იმ ბიბლიოთეკების სია, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატიდან **ერთ ცალად** ღებულობენ წიგნების, თვალსაჩინო სახელ-მძღვანელოების, რუკების, რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო გაზეთების, სამხედრო ოლქის, რკინიგზებისა და სანაოსნო საზოგადოებათა პოლიტსამმარ-თველოების გაზეთების ნომრებს, სახვითი გრაფიკის ნაწარმოებებსა და მუსი-კალურ ნოტებს:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა;

ბ) საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა;

გ) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბ-ლიოთეკა;

დ) ქუთაისის სახელმწიფო ბიბლიოთეკა;

ე) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკა-დემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტუ-რის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.

2. სია იმ ბიბლიოთეკებისა, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატიდან **ერთ ცალად** ღებულობენ რაიონული და ძირეული (მრავალ-ტირაჟიანი) გაზეთების, მინოგრაფსა და სხვა გამამრავლებელ აპარატებზე და-ბეჭდილ წვრილნაბეჭდი გამოცემების, აგრეთვე ამ დადგენილების I მუხლში ჩამოთვლილი გამოცემების სავალდებულო ნომრებს, თუ მათი ტირაჟი 300 ცალს არ აღემატება:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა;

გ) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;

დ) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.

დანართი № 2.

ს ი ა

იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა, რომელთაც აქვთ სასიგნალო ეგზემპლარების მიღების უფლება.

1. დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სსრ ყველა სტამბიდან იღებენ სასიგნალო ნომრებს:

ა) საქართველოს სსრ მთავლიტი . . . . . 3 ეგზ.

ბ) საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება . . . . . 2 „

გ) საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი . . . . . 2 „

2. დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სსრ ყველა სტამბიდან იღებენ მთელ ლიტერატურას ტერიტორიალური ქვემდებარეობის მიხედვით:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების მთავლიტები, ოლქლიტი და ქალაქლიტები . . . . . 3 ეგზ.

ბ) საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებანი . . . . . 2 „

3. ყველა გამომცემლობას უფლება აქვს მიიღოს თავისი გამოცემის პროდუქცია 3 ცალად.

4. მთავლიტის ორგანოების ცენზორებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებებს, უფლება აქვთ მიიღონ ამ ნაწარმოების სასიგნალო ეგზემპლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

95. რაიონებისა და ქალაქების ჯანმრთელობის განყოფილების გამგეების დანიშვნისა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისა და დათხოვნის წესის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 3 დეკემბრის № 2043 დადგენილებისა „რაიონების, ქალაქების და ოლქების ჯანმრთელობის განყოფილების გამგეების დანიშვნისა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის და დათხოვნის წესის შესახებ“ და ძირითადად ჯანმრთელობის ძირეული ჯგუფების გაძლიერების მიზნით, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ რაიონების და ქალაქების ჯანმრთელობის განყოფილების გამგეებს აძტკიცებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების წარდგენით.

2. აეკრძალოს რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის თანხმობის გარეშე რაიონებისა და ქალაქების ჯანმრთელობის განყოფილების გამგეების მოხსნა და სხვა სამუშაოზე გადაყვანა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1939 წ. დეკემბრის 26. № 2495.
თბილისი.

---

96. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულება.

2. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 17 ივლისის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 2, მუხ. 6).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1939 წ. დეკემბრის 30. № 2529.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ

ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი.

1. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 56 და 58 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს:

ა) ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებასა და ექსპლოატაციას;

ბ) ახალი ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მშენებლობას და არსებულთა რეკონსტრუქციას.

2. 1 მუხლის ა-ბ პუნქტებში აღნიშნული დარგების საქმიანობის ხელმძღვანელობას საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი ახორციელებს:

ა) ქალაქ თბილისში, ქუთაისსა და ფოთში უშუალოდ ამ ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა საშუალებით;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ის ტერიტორიაზე — ამ რესპუბლიკათა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების საშუალებით;

გ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების საშუალებით;

დ) დანარჩენ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილების საშუალებით.

3. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს სათავეში უდგას სახალხო კომისარი.

4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 52 მუხლის საფუძველზე, ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და ყველა დაქვემდებარებული ორგანოებისა და მეურნეობის დარგების მთელ საქმიანობას ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული წესით.

5. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 53 მუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მომქმედი კანონებისა და აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე მათ შესასრულებლად და ამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ბრძანებანი და ინსტრუქციები სავალდებულოა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე არსებული კომუნალური მეურნეობის ორგანოებისა და მათ ქვემდებარე ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ძირითადი ამოცანები.

6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი ასრულებს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

ა) ამუშავებს და დასამტკიცებლად ურდგენს საქართველოს სსრ მთავრობას კომუნალური და საბინაო მეურნეობის (საბინაო ფონდი, სასტუმრო, წყალმომარაგება, კანალიზაცია, გაწმენდა, ელექტროსადგური, თბოფიკაცია, გაზიფიკაცია ქალაქებისა, საქალაქო ელექტროტრანსპორტი, გზა-ხიდის მეურნეობა, აბანო, სამრეცხაო, საპარიკმახერო, ქალაქის სამიწათმოქმედო მეურნეობა, ქალაქთა გამწვანება და კეთილმოწყობა და სხვ.) მშენებლობისა და ექსპლოატაციის პერსპექტიულ წლიურსა და კვარტალურ გეგმებს და უზრუნველჰყოფს მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმების შესრულებას;

ბ) ხელმძღვანელობს დასახლებული ადგილების გეგმირებას, და ამუშავებს და გამოსცემს ნორმებს, წესებსა და ინსტრუქციებს ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მიწის ნაკვეთების გეგმირების, გადაცემისა და გაშენების საკითხებზე;

გ) ხელმძღვანელობს ახალ საბინაო და კომუნალურ მშენებლობას და საბინაო და კომუნალური მეურნეობის რეკონსტრუქციას უახლოესი ტექნიკური მინიმუმის საფუძველზე;

დ) აწესებს საბინაო და კომუნალური მეურნეობის ექსპლოატაციის წესებსა და ნორმებს და ხელმძღვანელობს ადგილობრივი კომუნალური ორგანოების მოღვაწეობას ყველა იმ საკითხებში, რომლებიც ეხებიან ადგილობრივი საბჭოების კომუნალური საწარმოების, საბინაო და საავარაკო ფონდების მართვა-გამგეობასა და ექსპლოატაციას, და ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში დანარჩენი საბინაო ფონდის დაცვისა და რემონტის კონტროლის ორგანიზაციის საქმეში;

ე) შეადგენს და გამოსცემს სანიმუშო პროექტებს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს;

ვ) ხელმძღვანელობს კომუნალური მეურნეობის სისტემის საპროექტო, მომმარაგებელ და სამშენებლო ორგანიზაციათა მოღვაწეობას და უზრუნველ-

ჰყოფს სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციას (სამუშაოთა მექანიზაცია, სამშენებლო ეზოები და სხვა);

ზ) ტექნიკურ დახმარებას უწევს, ამ დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის ორგანოებს, ტრესტებს და საწარმოებს, ნერგავს ახალ ტექნიკას (ტექნიკური გაუმჯობესებანი და გამოგონებანი) და აგრეთვე ახალ მასალას, სათბობსა და ახალ ნაწარმთა და კონსტრუქციათა წარმოებას კომუნალური და საბინაო მეურნეობის მშენებლობისა და ექსპლოატაციის ხაზით;

თ) ხელმძღვანელობს სტახანოვური მოძრაობის განვითარებას, ხელს უწყობს, რომ სტახანოვური მუშაობის საუკეთესო გამოცდილება გადაეცეს კომუნალური მეურნეობის სისტემის ორგანიზაციებსა და საწარმოებს, ამუშავებს კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების და ხელფასის საკითხებს;

ი) უზრუნველჰოფს რესპუბლიკური დაქვემდებარების მშენებლობის ტექნიკურ და მატერიალურ მომარაგებას, გამოყოფს ამ დებულების მე-2 მუხლში აღნიშნული წესით საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის ორგანოებს ნედლეულის ფონდებს, მასალას, მოწყობილობასა და სათბობს და ხელმძღვანელობს ამ ფონდების რეალიზაციას, აგრეთვე ანხორციელებს მათი დახარჯვის კონტროლს;

კ) მართავს თავის სისტემის სასწავლებლებს, ხელმძღვანელობს კადრების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ლ) ამტკიცებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს, ამოწმებს კომუნალური მეურნეობის საარაონო და საქალაქო განყოფილებათა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების შენაერთ ანგარიშებს;

მ) ამუშავებს და დადგენილი წესით შეაქვს საკანონმდებლო ორგანოებში დასამტკიცებლად საბინაო და კომუნალურ მეურნეობისა და მშენებლობის დარგში კანონთა პროექტები და ანხორციელებს ამ კანონთა შესრულების ხელმძღვანელობასა და კონტროლს.

7. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი ნიშნავს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სამმართველოთა და დამოუკიდებელ განყოფილებათა, რესპუბლიკის დაქვემდებარების ტრესტებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, ამტკიცებს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ განყოფილებათა გამგეების დანიშვნასა და გადაყენებას, გარდა კომუნალური მეურნეობის იმ ადგილობრივ განყოფილებათა გამგეებისა, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი ნიშნავს და სამუშაოდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე წყალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომარაგებისა და კანალიზაციის იმ საქალაქო ტრესტების დირექტორებს, მთავარ ინჟინრებს, რომელთა ძირითადი სახსრების ღირებულება 1 მილიონ მანეთს აღემატება, აგრეთვე იმ კომუნალურ ელექტროსადგურთა დირექტორებსა და მთავარ ინჟინრებს, რომელთა სიმძლავრე 250 კილოვატს აღემატება.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

8. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში ეწყობა:

I. საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების საბინაო ფონდისა და სასტუმროების მშენებლობასა და ექსპლოატაციას, ანხორციელებს ღონისძიებებს მათი დაცვის, გაჯანსაღებისა და მართებული ტექნიკური ექსპლოატაციისათვის და ხელმძღვანელობს საბინაო სამმართველოთა მოღვაწეობას.

II. კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოღვაწეობას წყალსადენის, კანალიზაციის, გზების, ხიდების, სანაპირო ქუჩების, აბანოების, საპრეცხაოების, საპარიკმახეროების და სხვა კომუნალურ საწარმოთა მშენებლობისა და ექსპლოატაციის დარგში, აგრეთვე სასაფლაო მეურნეობის, დაკრძალვის საქმისა და გასუფთავების საკითხებს.

III. საგეგმო-საფინანსო განყოფილება ადგენს ექსპლოატაციისა და მშენებლობის შენაერთ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, ინსტრუქტაჟს უწევს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის ორგანოებს საგეგმო-საალრიცხვო მუშაობის საკითხებში, აწარმოებს გეგმების შესრულების აღრიცხვას, ადგენს დაწესებულ ვადებში სტატისტიკურ ანგარიშებს და აგრეთვე თავის საფინანსო გეგმებს ექსპლოატაციის, წარმოების, კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის ხაზით.

IV. ენერგეტიკის განყოფილება განაგებს ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელის მშენებლობისა და ექსპლოატაციის, ქალაქების თბოფიკაციის, ქალაქის ელექტროტრანსპორტის (ტრამვაი, ტროლეიბუსი) მშენებლობის და ექსპლოატაციის საკითხებს კომუნალური მეურნეობის სისტემაში და ანხორციელებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის ორგანოების მოღვაწეობის ამ დარგების კონტროლს.

V. ქალაქთა დაგეგმვის განყოფილება განაგებს ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების ხუროთმოძღვრული გაფორმების დაგეგმვის გადაღების საკითხებს, ქალაქთა მიწის მეურნეობას და აგრეთვე ტექნიკურ აღრიცხვას (ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია) და ხელმძღვანელობს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემის საპროექტო ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. სპეცგანყოფილება.

VII. მომარაგების განყოფილება ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებული მომარაგებისა და გასაღების ტრესტის მოღვაწეობას, ამუშავებს, კომუნალური და საბინაო მეურნეობის სამშენებლო მასალისა და მოწყობილობის მოთხოვნილების გეგმებს, ანაწილებს მატერიალურ ფონდებს, ანხორციელებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ ფონდირებული მასალის რეალიზაციის ხელმძღვანელობასა და კონტროლს, ადგენს კომუნალური მეურნეობის დაწესებულებათა და საწარმოთა მიხედვით სათბობ-მომარაგების განაცხადებს და სათბობის ბალანსს.

VIII. კადრების განყოფილება აწარმოებს საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატის პერსონალურ აღრიცხვაზე მყოფ სამეურნეო მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა პირთა აღრიცხვას, გეგმავს კომუნალური და საბინაო ორგანოების მოთხოვნილებას ნომენკლატურულ მუშაკებზე; მართავს კომუნალურ ტექნიკუმს და განაგებს კომუნალური და საბინაო მეურნეობის კადრების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

IX. საქმეთა მმართველობა.

X. ცენტრალური ბუღალტერია ხელმძღვანელობს კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვას. ინსტრუქტაჟს უწევს და თვალყურს ადევნებს კომუნალური და საბინაო მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშთგების დარგში, ამოწმებს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს და აწარმოებს დადგენილი წესით მათ დოკუმენტალურ რევიზიას. აგრეთვე ადგენს შენაერთ პერიოდულ ანგარიშებს.

9. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებობენ:

I. სახელმწიფო ინსპექცია ქვაბზედამხედველობის ხაზით, ზედამხედველობას უწევს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოებში ქვაბებისა და საქვაბე მოწყობილობის მდგომარეობას.

II. იურიდიული ბიურო და საუწყებო არბიტრაჟი.

III. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო და მასთან სახარჯთაღრიცხვო ბიურო, რომლის ამოცანას შეადგენს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მიერ დასამტკიცებელი არასამრეწველო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილების, რაიონული ცენტრების, საკურორტო, საგარაკო და მუშათა დაბების დაგეგმვის პროექტების განხილვა, და აგრეთვე კონსულტაცია და დასკვნის მიცემა მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და დაგეგმვის ცალკეული ტექნიკურ-ეკონომიური პრობლემების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ნორმატიულ-ტექნიკური ბიურო ამუშავებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ და ეკონომიურ საკითხებს, განსაზღვრავს კომუნალურ საწარმოთა და სასტუმროთა მოწყობილობის ტიპს, ამუშავებს კომუნალურ საწარმოთა და საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს, ამუშავებს საორგანიზაციო სამეურნეო ღონისძიებებს საბინაო ფონდის მართვა-გამგეობისათვის, ამუშავებს კომუნალური საწარმოების, საცხოვრებელი და საადმინისტრაციო შენობების მშენებლობის ტექნიკურ საზომებს, ნორმებსა და წესებს.

ნორმატიულ-ტექნიკური ბიურო ამუშავებს აგრეთვე კომუნალური მეურნეობის სტანდარტებს, აწარმოებს სტანდარტების აღრიცხვას, ანხორციელებს მათი დაცვის კონტროლს, განიხილავს უმნიშვნელოვანეს გამოგონებებს და წარუდგენს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს მათი დანერგვის ღონისძიებებს, აღრიცხავს და კონტროლს უწევს გამოგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვას; აძლევს გამოგონებათა ავტორებს მოწმობებსა და პატენტებს.

10. საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობაში სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით იქმნება კოლეგია, რომელიც მართავს რეგულარულ სხდომებს და განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველოების, ადგილობრივი ორგანოების უფროსების, ტრესტების მმართველების და ცალკეულ საწარმოთა დირექტორებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ტარდება სახალხო კომისრის ბრძანებათა სახით.

სახალხო კომისარსა და კოლეგიას შორის სხვადასხვა აზრის არსებობის შემთხვევაში სახალხო კომისარი ანხორციელებს თავის გადაწყვეტილებას რის შესახებაც მოახსენებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის წარდგინებით.

11. ადგილებთან ურთიერთობისა და გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისართან იქმნება საბჭო, რომელიც მოიწვევა პერიოდულად და განიხილავს კომუნალური და საბინაო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის წარდგინებით.

12. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა და სტახანოველ მუშათა გამოცდილების საუკეთესოდ გამოყენებისა და კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, იკრებს სახალხო კომისარიატის აქტივს, როგორც მთლიანად სახალხო კომისარიატის გაერთიანებულ მეურნეობაში, ისე მის ცალკეულ დარგებში.

РУСТ 33,35
Б,КС ИМЭЛ
1 12 20 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტის“ პოლიგრაფიული კომბინატი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმ. № 2327 შეკვ. № 158 ტირაჟი 2000